ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სტუდენტი: არჩილ ჯავახიშვილი

ლექტორი : ირმა ხარშილაძე

სემინარის ხელმძღვანელი : სანდრო შერმადინი

2016

სარჩევი

1. შესავალი 3

2. ზიანის ანაზღაურება..... 3

2.1. ზოგადი დახასიათება..... 3

2.2. ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ..... 4

3. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების უფლების ჩამორთმევისა და შეზღუდვისათვის..... 5

3.1. საკუთრების უფლების ზოგადი მიმოხილვა..... 5

3.2. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების უფლების ხელყოფისთვის..... 6

3.3. საკუთრების ხელყოფა..... 6

3.4 საკუთრების შეზღუდვა..... 7

3.5. ექსპროპრიაცია..... 7

3.6. ექსპროპრიაციის შედეგებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა..... 7

4. სასამართლო პრაქტიკა..... 8

4.1 სასამართლო პრაქტიკა საქართველოში..... 8

4.2 სასამართლო პრაქტიკა თურქეთში..... 9

5. დასკვნა..... 10

1. შესავალი

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა თავისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისთვის, ნებისმიერი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რთულად მოსაწესრიგებელი საკითხია. საკითხის სირთულე გამომდინარეობს იქიდან, რომ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს (ფინანსური) ინტერესი და მოქალაქის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის გადაწყვეტის გზები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან (საჯარო მოხელის, სახელმწიფოს, სოლიდარული პასუხისმგებლობა), ისინი მაინც ერთი მიზნის მიღწევას ემსახურებიან-როგორც ადამიანის უფლებების, ისე სახელმწიფო ინტერესის დაცვას. ყველა სახელმწიფო ცდილობს პრობლემის გადაჭრას ისე, რომ მეტ-ნაკლებად დაიცვას როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო პირთა ინტერესები.

ამ მიზნით სხვადასხვა ქვეყანაში შემუშავებულია განსხვავებული დოქტრინა, ზოგიერთმა სახელმწიფომ კი საკითხის გადაჭრა მთლიანად სასამართლოს მიანდო, რამაც გარკვეულწილად ერთგვარი გაურკვევლობაც გამოიწვია, ვინაიდან სასამართლოები მსგავს შემთხვევებში სხვადასხვა გადაწყვეტილებას იღებდნენ; ყოველივე ამან კი ხელი შეუშალა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას და ამიტომ აღნიშნული საკითხის ცალსახა გადაწყვეტა არ მოხდა.

2. ზიანის ანაზღაურება

2.1. ზოგადი დახასიათება

ზიანი ეს არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება[1]. იგი ინტერესის ხელყოფას წარმოადგენს და არ აქვს მნიშვნელობა ეს ინტერესი ქონებრივი იქნება თუ არაქონებრივი. ზიანის ანაზღაურების საფუძვლები მოცემულია: საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები უპირველეს ყოვლისა მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო,

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. წიგნი IV, ტ.II, 2001წ, 378

ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება“, შესაბამისად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან[2]. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს ეკისრება მისი ორგანოებისა და მოსამსახურეების უკანონო და ზოგიერთ შემთხვევაში კანონიერი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ზიანის ანაზღაურების საკითხს აწესრიგებს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისთვის. „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო, ან ის ორგანო, სადაც ეს პირი მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის, ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.“

2.2. ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 თავი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას. სზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი[3]. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას, პირველ რიგში, გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი განსაკუთრებული წესი, ხოლო ის ურთიერთობები და საკითხები, რომელიც მისი რეგულირების სფეროში არ გვხვდება, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

სზაკ-ის 208-ე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს. სზაკ-ის 208 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო[4]. მაგრამ, სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

---

[2] საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, მე-9 პუნქტი.
[3] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი.
[4] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი.

ავტომატურად არ სპობს სახელმწიფოს წინაშე საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის საკითხს. ამდენად, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი არ არის მოწესრიგებული სზაკ-ით, რა დროსაც დიდი დახმარებას გვიწევს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი. განხრახვის, ან უხეში გაუფრთხილებლობისას სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად მიყენებული ზიანისთვის პასუხს აგებს საჯარო მოხელე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლი აწესრიგებს სახელწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობას კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანისთვის. ამ მუხლზე საუბრისას უნდა განისაზღვროს თუ რა არის კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების წინაპირობა, პირველ რიგში არის ის, რომ ამ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო უნდა იყოს უფლებამოსილი (საგნობრივი, ტერიტორიული) კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. საქმიანობის სწორი სამართლებრივი ფორმის არჩევასთან ერთად მნიშვნელოვანია რომ ის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახის და აქტის გამოცემისთვის კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვით იყოს გამოცემული.[5]

ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის წინაპირობებია 1) სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პროცესში 2) ბრალეული ქმედებით 3) არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ 4) რაც ხდება ზიანის წარმოშობის მიზეზი (მიზეზობრივი კავშირი). თუმცა, ასევე ამ წინაპირობების არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება არ დადგეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამისათვის უნდა შევამოწმოთ, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მეორე ნაწილი, სახეზე არის თუ არა ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოებები. ამ ნაწილის თანახმად, თუ დაზარალებული განზრახ, ან უხეში გაუფრთხილებლობით არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ზიანი თავიდან აიცილოს (არ შეაქვს საჩივარი, ან სარჩელი), მაშინ მას არ რჩება ზიანისას კომპენსაციის მოთხოვნის უფლება სახელმწიფოსგან.

[5] საქართველოს ზოგადი ადმინიტრაციული კოდექსის 209-ე მუხლი.

3. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების უფლების ჩამორთმევისა და შეზღუდვისათვის

3.1. საკუთრების ულების ზოგადი მიმოხილვა

საკუთრების უფლება უზრუნველყოფილია როგორც სამართლებრივი აქტებით, ისე სასამართლო პრეცედენტებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელმაც შეიმუშავა სხვადასხვა სახელმძღვანელო პრინციპი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით.

არსებული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც სადაოა საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებული მთელი რიგი ქმედებები და მათი განხორციელების გზები. მართალია, საქართველოში არსებობს რამდენიმე სამართლებრივი აქტი ექსპროპრიაციის შეზღუდვისა და მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში განხორციელების თაობაზე, თუმცა გასაანალიზებელია, თუ რამდენად მართებულადაა ეს ყოველივე მოწესრიგებული[6].

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში განმტკიცებულია კერძო საკუთრების უფლება. იგი ერთი მხრივ, არის საკუთრების, როგორც ინსტიტუტის გარანტია და მეორე მხრივ, საკუთრების, როგორც პიროვნების უფლების გარანტია. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი წინადადება იცავს თითოეული პირის საკუთრებას. ამ კუთხით, იგი სუბიექტური უფლების გარანტიაა, რომლის საფუძველზეც მესაკუთრეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლება აქვს. ის, პირველ რიგში, იცავს მესაკუთრის სამართლებრივ მდგომარეობას, კერძოდ, მის პირად უფლებას გარკვეულ ქონებაზე[7].

3.2 სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების უფლების ხელყოფისთვის

სახელწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა საკუთრების უფლების ხელყოფისათვის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით. ამ მუხლის გათვალისწინებით აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული

---

[6] გეგენავა დ., მოსაზრებები სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების ჩამორთმევის შედეგად ზიანზე; 24, იხ. <http://www.library.court.ge/upload/sarchevi_2010_1.pdf> [21.12.2013]

[7] ჯანიაშვილი მ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2011, 34 იხ. ციტირება: Isoria, Eigentumsschutz von Grund und Boden, insbesondere im Waturschutzrecht, 2002, s.59

კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით[8].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კანონმა არა მარტო საკუთრების ჩამორთმევის, არამედ მისი კომპენსაციის სახე და მოცულობაც უნდა განსაზღვროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ კანონის კონსტიტუციურობა დადგება. ასევე აუცილებელია განისაზღვროს უფლებაში ჩარევის ფარგლები, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მცირე თვითნებობის გამოვლინებაც კი.

საკუთრებით დაცულ სფეროში ჩარევა ყოველთვის არაა ერთგვაროვანი, ამიტომაც დაუშვებელია მისი მხოლოდ ერთ კონტექსტში განხილვა. ჩარევის მეთოდები, სიხშირე და ხანგრძლივობა გვაძლევს შესაძლებლობას ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ჩარევის ორი სახე - შეზღუდვა და ხელყოფა[9].

3.3 საკუთრების ხელყოფა (პირდაპირი ექსპროპრიაცია)

ხელყოფა თავისი არსით იმპერატიული ღონისძიებაა. მის შემთხვევაში მესაკუთრეს სრულიად ჩამოერთმევა საკუთრება ანუ საკუთრება, როგორც ობიექტი იცვლის მესაკუთრეს - სუბიექტს. კონკრეტული პირის ნაცვლად საკუთრების სუბიექტი ხდება თავად ექსპროპრიატორი - სახელმწიფო.

შეზღუდვისა და ხელყოფის გამიჯვნას არსებითი მნიშვნელობა აქვს ზიანის ანაზღაურებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, ვინაიდან სწორედ მათზეა დამოკიდებული თუ რა ოდენობით უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება. თუკი საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სრული ოდენობით შეიძლება დადგინდეს, შეზღუდვისას პასუხისმგებლობა თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით დგინდება.

თუ სახელმწიფო საერთო საზოგადოებრივი სარგებლის მოსატანად მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც არღვევს აღნიშნული საზოგადოების წევრთა შორის თანასწორობას, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ამგვარად, სახელმწიფო აღიარებს, რომ იგი ვალდებულია, თანასწორად მოეპყროს საზოგადოების ყველა წევრს. ეს პრინციპი არ არის მხოლოდ ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნორმა. გერმანულ და ფრანგულ სამართლებრივ სისტემებში, ანგლოამერიკულისაგან განსხვავებით, განვითარდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრაქტიკა იმ შეზღუდვებისა თუ ვალდებულებებისათვის, რაც ერთ ან რამდენიმე ადამიანს საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნით დაეკისრა.

---

[8] საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტი

[9] გეგენავა დ., მოსაზრებები სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების ჩამორთმევის შედეგად ზიანზე; 27, იხ. <http://www.library.court.ge/upload/sarchevi_2010_1.pdf> [21.12.2013]

3.4 საკუთრების შეზღუდვა (ირიბი ექსპროპრიაცია)

შეზღუდვა წარმოადგენს საკუთრების ხელყოფის ისეთ შემთხვევას, როდესაც საკუთრების სუბიექტი არ იცვლება თუმცა თავად საკუთრება იმგვარად განიცდის ზემოქმედებას, რომ შეუძლებელი ხდება მისი სრული მოცულობით გამოყენება , სარგებლობა. ცხადია, რომ ამგვარ ვითარებაში საკუთრება როგორც მთლიანობა არ ნადგურდება, არამედ იგი ზემოქმედების ქვეშაა და მისი გამოყენება ფერხდება იზღუდება.

შეზღუდვისას მნიშვნელოვანი ელემენტია თმენის ვალდებულება. ჩარევის ეს ფორმა სახეზე მაშინაა, როცა დაცულ სფეროში ჩარევა არ ცდება პირის თმენის ვალდებულებას, რომელიც მას აკისრია საკუთრების საჯარო-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე. მართალია, საკუთრების სრული სარგებლობა იზღუდება თუმცა პირს უნდა ჰქონდეს უფლება გამოიყენოს საკუთრება დანიშნულებისამებრ.

3.5 ექსპროპრიაცია

საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი საკუთრების ხელყოფის ერთ-ერთი სახეა და მის კლასიკურ ვარიაციას წარმოადგენს. მის აღმნიშვნელ ტერმინად ასევე შესაძლებელია გამოვიყენოთ „ექსპროპრიაცია“, რომელიც მოცემულია ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში, ინგლისურენოვან ტექსტში[10].

საკუთერების ჩამორთმევის არსი მესაკუთრის სამართლებრივი უფლების მოსპობაა.

3.6. ექსპროპრიაციის შედეგებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი მოიაზრებს შესაბამის კომპენსაციას, რომელიც პირის დარღვეული უფლების საპირწონეა და დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს. ზოგადი წესის თანახმად, ექსპროპრიაციას კომპენსაცია მოსდევს თუმცა კომპენსაციის ოდენობა და მისი განსაზღვრის წესი სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია. ზოგიერთი სახელმწიფო უშუალოდ კონსტიტუციის დონეზე განსაზღვრავს ზიანის ანაზრაურების ზოგად წესსა დაოდენობას. შვეიცარიის კონფედერაციის კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ზუსტად ადგენს არა მარტო ექსპროპრიაციის, არამედ საკუთრების ჩამორთმევასთან გათანაბრებული სხვა ქმედებების შედეგებს და მათზე სახელმწიფოს

[10] იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი, 2008, 11.

პასუხისმგებლობის მოცულობას. ეს ნორმა სახელმწიფოს ავალდებულებს მიყენებული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურებას[11].

4. სასამართლო პრაქტიკა

4.1.1 სასამართლო პრაქტიკა საქართველოში

1. [12]შპს „X-ის" დირექტორმა სარჩელი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ ქ.ბათუმის მერიის დადგენილებით განისაზღვრა ქ.ბათუმში, რუსთაველის ქუჩის #51-ში, მდებარე შენობა-ნაგებობების ლიკვიდაცია იმ მოტივით, რომ ქ.ბათუმის განაშენიანების გეგმის შესამამისად მიმდინარე ახალგაზრდობის პარკის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, აუცილებელი იყო ქ.ბათუმში, რუსთაველის ქუჩის #51-ში,მდებარე შენობა-ნაგებობების აღება.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო დადგენილების შესრულების დროს დაინგრა მოსარჩელის კუთვნილი შენობები, მაცივრები და სხვა დანადგარები, რითაც მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

მოსარჩელემ მოითხოვა ქ.ბათუმის მერიის დადგენილების ბათილად ცნობა, მიყენებული ზიანი, მიუღებელი შემოსავლის, ადვოკატის ხარჯების და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ, უკანონოდ იქნა ცნობილი შპს „X-ის" სახელზე რიცხული, ქ.ბათუმში მდებარე შენობის ლიკვიდაცია; ქ.ბათუმის მერიას მოსარგებლის სასარგებლოდ .... ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება და მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით შეტანილი .... ლარის გადახდა დაეკისრა.

3. გადწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ.ბათუმის მერიამ,რომელმაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

4.ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, ქ.ბთუმის მერიის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულიქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „X-ის" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის მერიის დადგენილება შპს-ს კუთვნილი მხოლოდ ორი შენობის ლიკვიდაციის ნაწილში;

---

[11] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი 1-ლი, ვასილ გონაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2004, 419.

[12] საქართველო უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 იანვრის #ბს-707-673-(კ-06) განჩინება

ქ.ბათუმის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ .... ლარის ოდენობის ზიანისა და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი ... ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის დადგენილების აღსრულებისას მერიამ დაანგრია მოსარჩელის საკუთრებაშ რეგისტრირებული ორი შენობა, რითაც ხელყო მესაკუთრის უფლება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა რომ სზაკ-ის 207-ე მუხლის საფუძველზე მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო სსკ-ით დადგენილი წესი. აღნიშნული კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს იგი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, სზაკ-ის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საჯარო ინტერესის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩათვალა ზიანის ოდენობის შემცირება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

5. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

4.1.2 სასამართლო პრაქტიკა საქართველოში

[13]2007 წლის 17 ივნისს ქ. გურჯაანში, ვინმე **ზ-მ** შეიძინა თევზეული 9 ცალი (80კგ) ლოქო და 19 ზუთხი (165კგ). მან გამყიდველს გადასცა მისამართი, რათა შესაბამისად დოკუმენტაცია მიეტენა მისთვის იმავე ღამით. ზემოაღნიშნული თევზი **ი. გ-ძის** კუთვნილი მსუბუქი ავტომანქანით გადმოჰქონდა ქ. თბილისში, 18 ივნისს, დაახლოებით 3 საათზე, საგარეჯოში გააჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა და ვინაიდან არ ჰქონდა თევზის შეძენის სათანადო დოკუმენტაცია, გადასცეს საფინანსო პოლიციის კახეთის სამმართველოს, ჩამოართვეს ავტომანქანა და თევზი, აწონეს თევზი და ექსპერტიზა ჩაუტარეს. პირველი ექსპერტიზის დასკვნით, თევზის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 5420 ლარს, დღგ-ს გარეშე 4593 ლარს, ხოლო მეორე ექსპერტიზის დასკვნით 6905 ლარს, დღგ-ს გარეშე 5810 ლარს, ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს წარმომადგენლებმა მოსარჩელეს ჩამოართვეს როგორც თევზი, ასევე, ავტომანქანა. თევზი შეინახეს საგარეჯოში, მეწარმე **მ. ქ-ძის** მაცივარში, ხოლო ავტომანქანა გადაყვანილ იქნა საჯარიმოზე. მოსარჩელის განმარტებით, თევზის უსაბუთოდ შეძენატრანსპორტირებისათვის თბილისის საგადასახადო

[13] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გს-409-394(კ-09) განჩინება

ისნპექციიდან მიიღო საგადასახადო მოთხოვნა, რომლის შესაბამისად დაეკისრა ჯარიმა 5851 ლარი. მიუხედავად აღნიშნულისა, მისთვის თევზი არ დაუბრუნებიათ იგი, როგორც მალფუჭებადი პროდუქტი, გახდა უვარგისი, ასევე უკანონოდ ჰყავდათ საჯარიმოზე მის მიერ დაქირავებული ავტომანქანაც, რომლისთვისაც ყოველდღიურად იხდიდა ჯარიმას 5 ლარს, ხოლო მანქანის მეპატრონეს უხდიდა 20 ლარს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა, მოპასუხეებს დაკისრებოდათ თევზის გაფუჭებით მიყენებული ზარალის 6905 ლარის, ასევე, ავტომანქანის საჯარიმოზე უკანონოდ გადაყვანით გამოწვეული ხარჯებისა და მოსალოდნელი მისაღები შემოსავლისათვის ყოველდღიურად 25 ლარის ანაზღაურება.

სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოდ მოითხოვა, მოპასუხეებს მის სასარგებლოდ დაკისრებოდათ ზიანის 5851 ლარის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით ი/მ «ბ. ს-ძის» სარჩელი დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ასანაზღაურებლად 5851 ლარის გადახდა. საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა: ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი პირობები, კერძოდ, სამასახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ბრალეული ქმედებით სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა სხვა პირის მიმართ, რაც გახდა ზიანის წარმოშობის მიზეზი. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელთა მიერ ბ. ს-ძისათვის ტვირთის ჩამორთმევა და მისი დასაწყობება უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებას სახელმწიფო სამსახურში ყოფნის საფუძველზე, ანუ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდაგარი ზიანი. ამასთან, განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო სახელმწიფო პასუხისმგებელია ბრალის ნებისმიერი ფორმით მიყენებული ზიანისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია, ნივთიერი მტკიცებულება შეინახოს ისეთ პირობებში, რომელებიც გამორიცხავს მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას. ამასთან, იმავე კოდექსის 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების დამთავრებამდე გამოძიების ორგანო მესაკუთრეს ან

მფლობელს უბრუნებს მალფუჭებად საგნებს, ხოლო 124-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულებების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში მისი მესაკუთე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლება არ უზრუნველყვეს ბ. ს-ძისათვის ჩამორთმეული თევზის ისეთ პირობებში შენახვა, რაც მისი თვისებების შეცვლას გამორიცხავდა, ი/მ «ბ. ს-ძის» კუთვნილი თევზი მოათავსეს ისეთ პირობებში, რამაც მისი გაფუჭება გამოიწვია. ამდენად, მოხდა თანამშრომელთა სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევა მოსარჩელის მიმართ, რომელსაც თავის მხრივ შეესაბამება ამ უკანასკნელის უფლება მოითხოვოს გაფუჭებული ნივთის საფასურის საკომპენსაციო თანახა, რაც განსახილველ შემთხვევაში შპს «...» 2007 წლის 21 ივნისის [1]002249 ექსპერტის აქტის საფუძველზე შეადგენს 5851 ლარს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიეებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და მოსარჩელისათვის ჩამორთეული ნივთის გაფუჭებით დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა. აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველილ ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად აუცილე- ბელია არსებობდეს ორიდან ერთ-ერთი პირობა: 1) სახელმწიფოს/სახელმწიფო მოხელის განზრახვა, მიაყენოს მხარეს ზიანი და 2) სახელმწიფოს/სახელმწიფო მოხელის უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი. აპელანტის განამრტებით, საქალაქო სასამართლოს მიერ არ არის დასაბუთებეული, თუ რომელი პი- რობით იქნა მოსარჩელისათვის ზიანი მიყენებული. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიიჩნევს პირის მართლსაწინააღმდეგო განზრახ ან გაუფრთხილებელ ქმედებას, რომლითაც ზიანი მიადგა მესამე პირს. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის აუცილებელ პირობას შეადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ ასაბუთებს, თუ რაში გამოიხატა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მისი შედეგი, რომლითაც ზიანი მიადგა მოასარჩელეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედება განხორციელდა განზახ თუ გაუფრთხილებელი ქმედებით, რაც მნიშვნელოვანია ზიანის ხარისხის დადგენისა და, შესაბამისად, კომპენსაციის განსაზღვრისათვის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად

დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ დასკვნებს.

4.2 სასამართლო პრაქტიკა თურქეთში

[13]სტანბულში, ფათიშის მუნიციპალიტეტმა გასცა სასწრაფო ექსპროპრიაციის განკარგულება რამოდენიმე შენობაზე, ქალაქის ტრანსფორმაციის პროექტის გათვალიწინებით, რომლებიც მდებარეობდა სწორედ ამ ფათიშის უბანში. ერთ-ერთ შენობა კი აღმოჩნდა სკოლა. სკოლამ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სტანბულის ადმინისტრაციულ სასამართლოში. სტანბულის ადმინისტრაციულმა სასამართლომ გააუქმა ფათიშის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დადგენილება ქალაქის რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით სასწრაფო ექსპროპრიაციის შესახებ, იმ არგუმენტით რომ გადაწყვეტილება სასწრაფო ექსპროპრიაციაზე არ იყო დასაშვები. სასამართლო ამბობდა რომ ქალაქის იერსახის შეცვლა არ იყო საკმარისი არგუმენტი და განსაკუთრებული პირობა, რაც გაამართლებდა სასწრაფო ექსპროპრიაციას. რაც მთავარია სასამართლომ აღნიშნა რომ სახეზე არ განსაკუთრებული საჯარო ინტერესი.

სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, მთავრობამ, მუნიციპალიტეტის მიმართვის საფუძველზე, გადაწყვიტა ექსპროპრიაცია მომხდარიყო 27-ე მუხლით, რომელიც უშვებს გამონაკლისს. კერძოდ, ექსპროპრიაცია დასაშვებია თუ : 1. საფრთხე ეხება ქვეყნის თავდაცვას და 2. თუ სახეზეა განსაკუთრებული შემთხვევა. შესაბამისად მთავრობამ ქალაქის უბნის იერსახის შეცვლა მიიჩნია განსაკუთრებულ შემთხვევად.

სკოლამ საპასუხო სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა სასამართლოს პირვანდელი გადაწყვეტილების აღსრულება. სასამართლომ სკოლის სარჩელი დააკმაყოფილა და აღნიშნა რომ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო სამართლიანი.

5. დასკვნა

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში, ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული საკითხის

---

[14] Court cancels execution of expropriation decision in Istanbul's Fatih <http://www.hurriyetdailynews.com/court-cancels-execution-of-expropriation-decision-in-istanbuls-fatih.aspx?pageID=238&nID=53739&NewsCatID=340> [23.12.2014]

სპეციფიკურობის გამო ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი სასამართლო პრაქტიკა. საკითხის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს ინტერესი, მისი ქმედუნარიანობის შენარჩუნების პრინციპი და მოქალაქის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი. აუცილებელია, რომ მხოლოდ სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე მოხდეს საკუთრების უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა. მოქალაქეებს უნდა გაუჩნდეთ იმის შეგრძნება, რომ სახელმწიფო მათ ინტერესებს დაიცავს.

დღესდღეისობით ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო პასუხს აგებს მის მიერ მიყენებულ ზიანზე. სამართლის სხვადასხვა სისტემის ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა კანონის ძალის მქონეა, მოსამართლეები განსხვავებულ სიტუაციებში განმარტავენ სამართლის ნორმებს, იძლევიან რეკომენდაციებს.

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობა როგორც ზოგადი ადმინისტრაციული, სამოქალაქო კოდექსები და კონსტიტუცია, ისე ცალკეული კანონები დეტალურად აწესრიგებენ ამ საკითხს. უნდა ითქვას ისიც, რომ მრავალი სასამართლო გადაწყვეტილებაა მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობაზე. მათი ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადაწყვეტილებები მსგავს საქმეებზე თითქმის ერთნაირია, რაც ხელს უწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის შექმნას, რომელიც, დაეხმარება სასამართლოსა და სახელმწიფოს სტაბილურობას.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

დამხმარე ლიტერატურა:

1. საზღვარგარეთის კონსტიტუციები ვასილ გონაშვილის რედაქტორობით ნაწილი I, თბილისი, 2004

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. წიგნი IV, ტ.II, 2001

3. ჯანიაშვილი მ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2011

4. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი, 2008

ინტერნეტრესურსები:

1. http://www.hurriyetdailynews.com/court-cancels-execution-of-expropriation-decision-in-istanbuls-fatih.aspx?pageID=238&nID=53739&NewsCatID=340

2. http://www.library.court.ge/upload/sarchevi_2010_1.pdf

სასამართლოს განჩინება:

საქართველო უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 იანვრის #ბს-707-673-(კ-06) განჩინება